IDFI

ინფორმირებული და ძლიერი
საზოგადოება დემოკრატიული
მმართველობისთვის

წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

2019

სარჩევი

შესავალი ---------- 3

კარგი მმართველობა ---------- 4

ანტიკორუფციული მიმართულება ---------- 15

ადგილობრივი თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია ---------- 17

მედია, ინტერნეტი და ინოვაციები ---------- 18

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა ---------- 20

საბჭოთა კვლევები ---------- 21

კანონის უზენაესობა ---------- 25

სახელმწიფო შესყიდვები ---------- 28

საჯარო-კერძო პარტნიორობა ---------- 30

ტრენინგები და ლექციები ---------- 31

კონსულტაციები ---------- 32

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები ---------- 34

2019 წელს დაწყებული პროექტები ---------- 35

2019 წლის ფინანსური ანგარიში ---------- 37

შესავალი

მიუხედავად ბოლო წლებში არსებული საერთო პროგრესისა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მიმართულებით და მართვის პროცესში გამჭირვალობის, სამართლიანობისა და ეფექტიანობის გაზრდისა, დღეს, ეს პროცესები შენებულია და მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დგას.

როგორც წინა წლებში, 2019 წელსაც, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) წარმატებით უმკლავდებოდა დემოკრატიისა და კარგი მმართველობის წინაშე არსებულ გამოწვევებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის, მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით. კერძოდ, IDFI ხელს უწყობდა საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის გაუმჯობესებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდას, კანონის უზენაესობის მაღალი სტანდარტების მიღწევას, ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესს, მედიისა და ადამიანის უფლებების დაცვას.

2019 წელს, IDFI-მ განახორციელა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ანტიკორუფციული პოლიტიკის გაუმჯობესებას და გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაზრდას ეროვნულ და ადგილობრივ მმართველობის დონეზე. ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებასა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

2019 წელს IDFI-მ:

- მოამზადა 12 პოლიტიკის დოკუმენტი
- მოამზადა 25 კვლევის დოკუმენტი
- ჩაატარა 4 საერთაშორისო კონფერენცია
- ჩაატარა 37 ტრენინგი და ლექცია
- გამოსცა 20 პუბლიკაცია
- მოამზადა 30 ვიზუალიზაცია
- გამართა 24 დისკუსია/პრეზენტაცია

2019 წელს IDFI-მ დაიწყო 13 ახალი პროექტი

IDFI-ის თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 19 მდე

კარგი მმართველობის ფორუმი 2019 - #GGFORUM2019

2019 წელს IDFI-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში პირველ საერთაშორისო კონფერენციას კარგი მმართველობისა და ანტი-კორუფციულ საკითხებზე, სახელწოდებით „კარგი მმართველობის ფორუმი“ (GGForum). „კარგი მმართველობის ფორუმი“ 2019 წლის 29-30 ნოემბერს ჩატარდა და მიზნად ისახავდა კორუფციასთან, განსაკუთრებით კი მაღალი დონის კორუფციასთან, ბრძოლის ინოვაციური და ეფექტური მიდგომების განხილვას. ღონისძიებაზე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით, დისკუსიები გაიმართა შემდეგ საკითხებზე:

- კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური მოდელები და კამპანიები;
- ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) როლი კორუფციასთან ბრძოლაში;
- კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების ღიაობა;
- მოპოვებითი დარგების გამჭირვალობის ინიციატივა;
- საჯარო შესყიდვები და ღია კონტრაქტები.

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს ამ საკითხებზე მომუშავე წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სხვადასხვა ქვეყნების საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებმა. მათ შორის, საერთაშორისო გამჭვირვალობა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), მომპოვებელი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI), მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო, ლიეტუვას რესპუბლიკის სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP), საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისი; ღია კონტრაქტების პარტნიორობა, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტი (OCCRP), ნორვეგიის საგადასახადო სამართლიანობის ქსელი და ა.შ. კონფერენციის პანელებისა და მომხსენებლების შესახებ დეტალური ინფორმაციის სანახავად, იხილეთ ფორუმის დღის წესრიგი.

კარგი მმართველობის ფორუმი რიცხვებში

+120 მონაწილე | **38 მომხსენებელი** | **17 ქვეყანა** | **15 სესია**



IDFI-მ ფორუმი ჩაატარა გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის Luminate-ის მხარდაჭერით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში, Tetra Tech ARD თანადაფინანსებით.

კონფერენციაზე განხილული საკითხების გასაცნობად, იხილეთ ფორუმის პანელებისა და ზოგადად, ღონისძიების შემაჯამებელი ვიდეოები:

- *GG Forum 2019-ის პანელების მიმოხილვა*
- *GG Forum 2019-ის მთავარი მესიჯები*

ასევე, IDFI-ის YouTube არხზე ხელმისაწვდომია ფორუმის მთავარი სესიების ჩანაწერები:

- *კარგი მმართველობის ფორუმის მისასალმებელი სიტყვები*
- *ანტიკორუფციული ინსტიტუტები და კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმები*
- *ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) როლი კორუფციასთან ბრძოლაში*
- *კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების ღიაობის მნიშვნელობა და როგორ მუშაობს ის*
- *მოპოვებითი დარგების გამჭირვალობის გლობალური სტანდარტები*
- *საჯარო შესყიდვებში კორუფციის გამოსამჟღავნებლად და მასთან საბრძოლველად ახალი ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები*
- *TPPR: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*
- *კარგი მმართველობის ფორუმის შემაჯამებელი სიტყვები*

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

IDFI-მ 2019 წელს საზოგადოებას წარუდგინა საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2018 წლის მონიტორინგის შედეგები, რომელიც ეფუძნება **282** საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებულ პასუხებს.

სულ გაიგზავნა 6 413 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

- სრულყოფილი პასუხი - **71%**
- არასრულყოფილი პასუხი - **9%**
- უპასუხო - **19%**
- უარი - **1%**
- 10-დღიანი ვადის დაცვა - **63%**

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი 2018 წელს წინა წელთან შედარებით მცირედით გაუარესდა. მიუხედავად ამისა, გაიზარდა იმ საჯარო დაწესებულებების რიცხვი, რომელთაც გადაეცათ სპეციალური ჯილდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის.

IDFI-ის მიერ დამკვიდრებულმა დაჯილდოების ტრადიციამ, საჯარო დაწესებულებებს გაუზარდა მოტივაცია, ინსტიტუტის ყველა მოთხოვნაზე გაეცა სრულყოფილი პასუხი კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით.

სულ დაჯილდოვდა 43 საჯარო დაწესებულება.

მათ შორის:

- საჯარო სამსახურის ბიურო
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
- გარემოს ეროვნული სააგენტო

ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად შეფასდა: **იუსტიციის სამინისტროს მთლიანი სისტემა**

2019 წელს IDFI-მ ასევე, განახორციელა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულების, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგი.

- სულ მონიტორინგი ჩაუტარდა **100** საჯარო დაწესებულებას

- ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი იყო **53%**

- არცერთ უწყებას არ ჰქონდა სრულყოფილად (100%-ით) გამოქვეყნებული ინფორმაცია

- **15** უწყებას საერთოდ არ ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი ან ვებგვერდზე არ ჰქონდა შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის რეიტინგში პირველ ხუთეულს წარმოადგენდნენ შემდეგი უწყებები:

1. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - **98%**

2. საფინანსო-ანალიტიკური სამსახური - **98%**

3. შინაგან საქმეთა სამინისტრო - **96%**

4. სახაზინო სამსახური - **95%**

5. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - **94%**

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო დაწესებულებებს დაეგზავნათ კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციები.

IDFI-ის ღია მონაცემების პორტალის - DATALAB.GE - შემდგომი განვითარება და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეყანაში საჯარო მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, IDFI-იმ გააგრძელა წინა წელს შექმნილ ღია მონაცემების პორტალზე (DataLab.Ge) სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის ღია ფორმატებში გამოქვეყნება.

DataLab.Ge-ზე 2019 წლის ბოლოსთვის, ხელმისაწვდომი იყო 1,000-ზე მეტი მონაცემთა ბაზა საჯარო პოლიტიკის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საჯარო მმართველობა და ადმინისტრაციული ხარჯები, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეკონომიკა, ფინანსები, ჯანდაცვა, დანაშაულის სტატისტიკა, სოციალური პოლიტიკა, განათლება, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და საზოგადოება.

პლატფორმაზე მონაცემები ხელმისაწვდომია ღია, დამუშავებად ფორმატში (ექსელი და CSV). მონაცემების დათვალიერებასთან ერთად, მომხმარებელს შეუძლია:

- გაანალიზოს და დაამუშავოს მისთვის სასურველი ინფორმაცია;
- გამოსახოს მონაცემები მარტივი ვიზუალიზაციებით;
- გადმოწეროს მონაცემები ღია ფორმატში;
- გააზიაროს მონაცემები სოციალურ ქსელებსა და ვებგვერდებზე;
- შექმნას ახალი აპლიკაციები.

ახალი მონაცემების გამოქვეყნებასთან ერთად, 2019 წელს ვებგვერდს დაემატა ახალი მოდული - [სახელმძღვანელოები](), სადაც პირველ ეტაპზე IDFI-იმ გამოაქვეყნა საჯარო მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. მომავალში აღნიშნული მოდულის შემდგომი განვითარებითა და მონაცემებთან მუშობის საკითხებზე სხვადასხვა საინფორმაციო მასალის მომზადებით, იგეგმება პლატფორმის გადაქცევა ღია მონაცემების საგანმანათლებლო პორტალად.

ანალიტიკური სტატიების კონკურსი - ჟურნალისტები და აქტივისტები დემოკრატიული მმართველობისთვის

ჟურნალისტებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და აქტიურ მოქალაქეებს შორის ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის წახალისების მიზნით, IDFI-იმ [ჩაატარა]() ანალიტიკური და საგამოძიებო სტატიების კონკურსი თემაზე: **ჟურნალისტები დემოკრატიული მმართველობისთვის.** მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეკვლიათ საქართველოს საჯარო სექტორში არსებული შესაძლო გადაცდომები და საეჭვო გარემოებები. საბოლოო ჯამში, კონკურსში 20-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. წლის ბოლოს [გამოვლინდა]() სამი გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცდათ ფულადი ჯილდო, მათი ნაშრომები კი გამოქვეყნდა IDFI-ის ვებგვერდსა (www.IDFI.ge) და სოციალურ ქსელებზე (Facebook; Twitter).

საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა

IDFI აქტიურად არის ჩართული საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის პროცესში. ამ მიზნით, ორგანიზაციამ მოამზადა და 2019 წლის 11 ივლისს გამოაქვეყნა მოსაზრებები იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომელთაც ვერ პასუხობს საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის ოქტომბერში IDFI-მ, ევროკავშირის მხარდაჭერით და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, ახალი პროექტი დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობას სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და გადახედვის პროცესში ინოვაციების, შესაძლებლობების გაძლიერების, დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით. პროექტის პრეზენტაცია 2019 წლის 17 დეკემბერს გაიმართა, სადაც მონაწილეები გაეცნენ მიმდინარე რეფორმის გამოწვევებს და მათ საპასუხოდ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ძირითად ღონისძიებებს.

პროექტის ფარგლებში მომზადდება საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესრულების ალტერნატიული ანგარიშები. 2019 წელს შემუშავდა PAR-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდება მონიტორინგის ალტერნატიული ანგარიშები. ანგარიშების შემუშავებაში ჩაერთვებიან რეგიონული ორგანიზაციები, ონლაინ პლატფორმა (PAR tracker) კი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს PAR-ს განხორციელებასთან დაკავშირებულ მიგნებებს და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრებები. პროექტის ფარგლებში განხორციელდება რეფორმასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა, რაც რეფორმის შემდგომი გაუმჯობესებისთვისაა მნიშვნელოვანი.



მდგრადი განვითარების მიზნები

IDFI-მ მოამზადა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოს ეროვნულ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრირების ხარისხის დეტალური ანალიზი. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად მოიცავდა არსებული ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანათა შესაბამის ინდიკატორებს. კავშირების დადგენისას, IDFI-მ შეისწავლა და შეაფასა 70-ზე მეტი სტრატეგიული დოკუმენტი. ე.წ. MAPS-ის (Mainstreaming, Acceleration and Policy Support) მისიის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისგან განსხვავებით, IDFI-ის ანალიზის მთავარი უპირატესობა მდგომარეობდა იმაში, რომ კავშირები გაანალიზებული იყო ინდიკატორების და არა მხოლოდ ამოცანების დონეზე. გარდა ამისა, კავშირების დადგენისას, IDFI-მ გამოიყენა ათეულობით ისეთი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც MAP-ის მისიას არ გაუანალიზებია.

2019 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ მოიწონა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტი - ე.წ. მატრიცა, რომლის შემუშავებაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი IDFI-ის მიერ დაქირავებული ექსპერტები.

2019 წლის ბოლოს გაეშვა მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის ვებგვერდი, რომლის საწყისი კონცეფციაც მომზადდა IDFI-ს აქტიური ჩართულობითა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)

2019 წელს IDFI კვლავაც აგრძელებდა საქმიანობას ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში ყველა დონეზე: ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო.

ეროვნული დონე



ეროვნულ დონეზე IDFI ჩართული იყო საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის აღსრულებასა და მონიტორინგში. აღსრულების თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ IDFI, USAID-ის კარგი მმართველობის ინიციატივა საქართველოში, Tetra Tech ARD-ის მხარდაჭერით, დაეხმარა ახალციხის მერიას გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, ასევე - ახალციხისა და ქუთაისის მერიას ღია მონაცემების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შექმნაში.

ამავდროულად, IDFI აქტიურად იყო ჩართული ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის შეხვედრებსა და განხილვებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, IDFI-მ შემდეგი წლების OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში წარმოადგინა საკუთარი რეკომენდაციები/წინადადებები რვა სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის:

- საქართველოს მიერ მოპოვებითი დარგების გამჭირვალობის ინიციატივის (EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთება/გაწევრიანება და სტანდარტების განხორციელება/დანერგვა;
- საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა;
- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა;
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა;
- საარქივო დოკუმენტების ღიაობა და ა.შ.

ღია პარლამენტი

IDFI, წინა წლების მსგავსად, 2019 წელსაც აქტიურად იყო ჩართული საპარლამენტო ღიაობის მხარდაჭერის პროცესში. IDFI, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, ხელს უწყობდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების კოორდინაციას, ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხილვას, მსჯელობასა და განხორციელებას. ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ 2018 წელს დაამტკიცა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ვალდებულებების შესრულებას 2018 და 2019 წლებში. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის მენეჯმენტისა და უშუალო ჩართულობის გარდა, IDFI-ის ინიციატივით დასახელებულ სამოქმედო გეგმაში შესულია რამდენიმე ვალდებულება, მათ შორის პლენარული სხდომების სტენოგრამული ჩანაწერების ღია ფორმატში განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე და საქართველოს

პარლამენტის სოციალური ქსელების საშუალებით კომუნიკაციის დამყარების კონცეფციის შემუშავება. IDFI აქტიურად უჭერს მხარს ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში.

ამავდროულად, გარდა ზემოთ დასახელებულისა, IDFI-მ განახორციელა სხვადასხვა აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავდა საპარლამენტო ღიაობისა და ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. IDFI-ის აქტიური ხელშეწყობით (ევროკავშირის/გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით), შემუშავდა და დამტკიცდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია, შეიქმნა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფი, შემუშავდა საქართველოს პარლამენტის სოციალური ქსელების გამოყენებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და განხორციელდა 2016-2018 წლების განმავლობაში პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკის ანალიზი.

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადებამდე გაანალიზდა არსებული მდგომარეობა და ის გამოწვევები, რაც საბჭოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით აქვს და შესაბამისად, მათი გადაჭრის მიზნით, მომზადდა რეკომენდაციები. დოკუმენტი ხელს შეუწყობს OGP-ის, საბჭოს მისიის, საქმიანობისა და შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, OGP-ის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ღიაობის კუთხით მიმდინარე საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გაზრდასა და საპარლამენტო პროცესებში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის გაძლიერებას.

მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული პლატფორმა

IDFI-ის რეკომენდაციით, საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული პლატფორმა შექმნა.



საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ელექტრონული ფორმით წარადგინონ პეტიცია (რომელიც წარმოადგენს არანაკლებ 300 პირის მიმართვას სახელმწიფოებრივ ან/და საზოგადოებრივ პრობლემიდან გამომდინარე), არანაკლებ 200 000 ამომრჩეველის ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით და არანაკლებ 25 000 ამომრჩეველის ინიციატივა კანონის პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით, და ელექტრონული (ასევე, წერილობითი გზით) გზით უზრუნველყონ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება.

პარლამენტის მობილური აპლიკაცია

IDFI-ისა და საქართველოს პარლამენტის აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა პარლამენტის მობილური აპლიკაცია, რომლის მიზანია საპარლამენტო საქმიანობაში საქართველოს მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა და მათი ინფორმირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტები, კენჭსარელი/განსახილველი საკითხები და კენჭისყრის შედეგები, პარლამენტის რეგლამენტი, პარლამენტარები, და საქართველოს კონსტიტუცია.

აპლიკაცია მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას თვალი ადევნოს ყველა კანონპროექტს, მოიწონოს, დატოვოს კომენტარი, ჩართოს შეტყობინების ველი და მიიღოს მისთვის საინტერესო კანონპროექტის შესახებ განახლებული ინფორმაცია.

ახალგაზრდების ჩართულობა

ღია პარლამენტის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? პარლამენტის შესახებ“ გაიმართა, სადაც მონაწილეობა 18 უნივერსიტეტის 100-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.

თამაშის 30 შეკითხვა მოიცავდა ზოგად და ისტორიულ ცნობებს საქართველოსა და სხვა ქვეყნების პარლა-მენტების შესახებ და ინფორმაციას გამოჩენილ პარლამენტარებზე.

თბილისის OGP

IDFI-ის წარმომადგენლები არიან თბილისის მერიის მიერ შექმნილ ღია მმართველობის სამუშაო ჯგუფში, რომელიც შექმნილია მუნიციპალიტეტის ღია მმართველობის პარტნიორობის თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერისა და მონიტორინგისთვის. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, IDFI-მ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა თბილისის მერიას სხვადასხვა ვალდებულების შესრულებისას. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიამ გაითვალისწინა IDFI-ის შეთავაზება და სამოქმედო გეგმაში შეიყვანა რამდენიმე ვალდებულება: ვებგვერდის განახლება, საჯარო ინფორმაციის გვერდის მოდიფიკაცია და ღია მონაცემების გვერდის შექმნა.

ანტიკორუფციული მიმართულება

IDFI აგრძელებს კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობას. ამ მიზნით, ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებასა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. 2019 წლის 13 მაისს IDFI-მ ანტიკორუფციულ საბჭოს წარუდგინა რეკომენდაციები ახალ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილიც საბჭომ გაიზიარა, თუმცა, სამწუხაროდ, სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების პროცესი ხარვეზებით წარიმართა და გაუთვალისწინებელი დარჩა უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლისთვის, რის შესახებაც, IDFI-მ საკუთარი მოსაზრებები ანტიკორუფციულ საბჭოს წარუდგინა და გამოაქვეყნა 2019 წლის 22 აგვისტოს. პარალელურად, IDFI თვალყურს ადევნებს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულებას და აქტიურად მონაწილეობს მონიტორინგის პროცესში.

IDFI აკვირდება კორუფციასთან დაკავშირებით ქვეყნის მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. 2019 წლის 12 ივლისს ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მეოთხე რაუნდის ფარგლებში საქართველოს მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ. IDFI-მ მოამზადა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციულ ქსელს (OECD-ACN) წარუდგინა საქართველოს მიერ მეოთხე რაუნდის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ალტერნატიული ანგარიში.

IDFI-ის ანალიტიკური და ხელისუფლების საქმიანობის მაკონტროლებელი საქმიანობა

2019 წელს ინსტიტუტი აგრძელებდა ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს, რის ფარგლებშიც IDFI-იმ სიღრმისეულად შეისწავლა 2017-2018 წლების გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკი და საწვავის ხარჯები, 2015-2018 წლებში საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ სახელმწიფო ფინანსების განკარგვა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბიუროკრატიული აპარატი და ხარჯები, და საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობის ხარჯები. თითოეულ საკითხზე მომზადებულმა ანალიტიკურმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი კორუფციული და ფინანსების არამიზნობრივი განკარგვის რისკები აღმოაჩინა.

- მაგალითად, IDFI-ის კვლევის შედეგად გამოვლენილი გუბერნატორების ადმინისტრაციების ბიუროკრატიული აპარატის ავტოპარკის მასშტაბი, არაეკონომიური მაღალი გამავლობის და ძვირადღირებული მოდელების მაჩვენებლები და საწვავის მოხმარების არსებული მაჩვენებლები ცალსახად ოპტიმიზაციისა და კონტროლის მექანიზმების გამკაცრების აუცილებლობაზე მიუთითებს.

- საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2015-2018 წლებში სახელმწიფო ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზმა, სხვა გარემოებებთან ერთად, აჩვენა, რომ ჭიდაობის სახელმწიფო პროგრამის ფინანსური ანგარიშები არ არის თანხვედრაში სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებთან. ასევე, საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ოფიციალურად მოწოდებული ფინანსური დოკუმენტაციით სამინისტროს მიერ გადარიცხულ, ფედერაციის მიერ დახარჯულ და უკან დაბრუნებულ თანხებს შორის ბალანსი არ არის დაცული.

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბიუროკრატიული აპარატისა და ხარჯების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხარჯების ოპტიმიზაციის ნაცვლად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბიუჯეტი რეფორმის განხორციელების ყოველ ეტაპზე განაგრძობდა ზრდას. ასევე, მართალია, რეფორმათა შედეგად დაგეგმილი იყო ხარჯების ოპტიმიზაციის გზით გამოთავისუფლებული თანხებიდან მეხანძრე-მაშველთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მაგრამ, 2018 წლის 1 აგვისტოდან მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგო გაიზარდა მხოლოდ 120 ლარით მაშინ, როცა 3,000 ლარამდე მოიმატა სამსახურის ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ პირთა თანამდებობრივმა სარგომ.

- საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისათვის გაწეული ხარჯების კვლევამ გამოავლინა, რომ ძვირადღირებული ანტიკვარული და თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და სხვა ინტერიერის აქსესუარების შესყიდვა განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით, შესაბამისი ბაზრის დაჩქარებული შესწავლა/ექსპერტიზისა და კონკურენციის არარსებობის პირობებში. ასევე, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვის თვალსაზრისით განსაკუთრებული რისკის მატარებელი იყო ტენდერის გარეშე 720 225 ლარი ღირებულების თანამედროვე ავეჯის, სანათი საშულებებისა და ფარდების შესყიდვა.

კორუფციასთან მებრძოლთა საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამა

IDFI აქტურად არის ჩართული ისეთი საზოგადოების შექმნაში, რომელიც მონაწილეობს კორუფციის პრევენციაში, კორუფციის რისკების მართვასა და სისტემური კორუფციის შემთხვევების გამოვლენაში.

2019 წელს IDFI-მ შეიმუშავა მულტიდისციპლინური კურიკულუმი, რომელიც შედგება სხვადასხვა ნაწილებისგან: კორუფციის, როგორც ფენომენის, ისტორიული და ძირეული მიზეზები, რისკების მართვაზე პოლიტიკის შემუშავების დონეები, საჯარო და კერძო ორგანიზაციების კეთილსინდისიერების ასპექტები, კორუფციასთან დაკავშირებული უახლესი ტენდენციები, კორფუციასთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულაციები, ელ-მმართველობა კორუფციასთან ბრძოლაში, და კორუფციის შემთხვევების გამოვლენაზე გამოძიებისა და მხილების მეთოდების გამოყენება.

IDFI-მ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და ორ მხარეს შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, შექმნა მაღალი დონის საგანმანათლებლო სასერტიფიკატო კურსი და მასში მონაწილეობა შესთავაზა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ და სხვადასხვა გამოცდილების მქონე პროფესიონალებს და სტუდენტებს.

სასერტიფიკატო კურსისთვის მონაწილეთა შესარჩევად IDFI-მ ჩაატარა კონკურსი. 2019 წლის 15 სექტემბერს გამოაცხადდა პროგრამის მონაწილეობისათვის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი. მასში მონაწილეობა მიიღო საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორების 500-მდე წარმომადგენელმა. კონკურსის შედეგად შეირჩა პროგრამის 32 მონაწილე, რომელთა შორის არიან უნივერსიტეტების სტუდენტები, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები.

ადგილობრივი თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2019 წლის შეფასება

2019 წელს IDFI-მ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრთან (MSDC) ერთად, უკვე მეოხედ გამოაქვეყნა მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ეროვნული შეფასების - ***ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის - შედეგები.*** *შედეგების მიხედვით, მერიების და საკრებულოების გამჭვირვალობამ საერთო ჯამში* ***7%-ით*** *იმატა.*

მიუხედავად ამ პროგრესისა, მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მიმართულებით არსებული საერთო სურათი არადამაკმაყოფილებელი რჩება. შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი მხოლოდ 28%-ია, **მერიების - 25%, საკრებულოების კი - 31%.** *მნიშვნელოვანია მეტი ახსებითი ცვლილება, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირების პოლიტიკური ნება და გამბედაობა იმისათვის, რომ სხვადასხვა კრიტერიუმით ღიაობა უფრო მაღალ ხარისხში აიყვანონ.*

2019 წელს საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დასახელდა. 100%-იანი შეფასების სკალაზე მას 61%-იანი შედეგი ჰქონდა. ბათუმთან ერთად, ასევე, დაჯილდოვდნენ რუსთავის (57%), ლაგოდეხის (56%), ზუგდიდის (55%) და თეთრიწყაროს (52%) მუნიციპალიტეტები. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მაღალი მაჩვენებელი უმეტესწილად განაპირობა ლაგოდეხის საკრებულოს გამორჩეულმა შეფასებამ (87%), რაც საუკეთესო შედეგია როგორც წარმომადგენლობით, ისე აღმასრულებელ ორგანოებს შორის. შედეგად, მუნიციპალიტეტთან ერთად ლაგოდეხის საკრებულოც დაჯილდოვდა შესაბამისი სიგელით.

რაც შეეხება რეიტინგის ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე მუნიციპალიტეტებს, მათ შორის იყვნენ ახალქალაქის (6%), ნინოწმინდის (7%), ასპინძის (7%), ადიგენის (8%) და სამტრედიის (9%) მუნიციპალიტეტები. ვერც ერთმა მათგანმა რეიტინგის 10%-იან ზღვარს ვერ მიაღწია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შესახებ: ინდექსი სწავლობს და აფასებს საქართველოს მუნიციპალური ხელისუფლების გამჭვირვალობის, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს. 2017 და 2019 წლების შედეგები და მუნიციპალიტეტების რეიტინგები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.LSGIndex.org

ღია მონაცემების სტრატეგია ახალციხისა და ქუთაისის მერიებისთვის

IDFI, USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI), Tetra Tech ARD ფინანსური მხარდამჭერით, დაეხმარა **ახალციხისა და ქუთაისის მერიებს შეემუშავებინათ ღია მონაცემების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.** კერძოდ, რეალურ და ფაქტებზე დაფუძნებული სტრატეგიების შექმნის მიზნით, IDFI-მ მოამზადა ხსენებულ მერიებში ღია მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების მიმართულებით არსებული

სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი. კვლევის პროცესში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები როგორც მერიების, ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების (სამოქალაქო საზოგადოება, მედია, აკადემიური წრეები და ბიზნესი) წარმომადგენლებთან. ასევე, მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით, ჩატარდა სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების პირველადი ვერსიების საჯარო განხილვა.

ორივე მერიის სტრატეგიის საბოლოო მიზანია, ღია მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების არსებული პრაქტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების გზით, კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა, მუნიციპალიტეტის შესახებ საჯარო მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი გამოყენების წახალისება.

აღნიშნული მერიები არიან პირველები, რომელთაც ღია მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური სტრატეგიები შექმნეს და დაამტკიცეს. სტრატეგიული დოკუმენტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ახალციხისა და ქუთაისის მერიები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ მონაცემების დამუშავებისა და გამოქვეყნების შიდა პროცესებს, რაც მომავალში გაზრდის მათ გამჭვირვალობასა და მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულებას.

მედია, ინჯერნეჯი და ინოვაციები

ინტერნეტ თავისუფლება საქართველოში

უკვე მე-6 წელია IDFI-ის წარმომადგენელი Freedom House-ის დამხმარე ავტორია და მონაწილეობს საქართველოზე ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში.

2019 წლის ნოემბერში ინტერნეტ თავისუფლების შესახებ Freedom House-ის ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნდა. 2019 წელს საქართველომ 100-დან 75 ქულა აიღო და ინტერნეტ თავისუფლების მხრივ შეფასდა, როგორც „თავისუფალი“ ქვეყანა. ინტერნეტში ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული გამოწვევების თვალსაზრისით გამოყოფილი იყო შემდეგი შემთხვევები:

- ტროლინგი, კერძოდ, მთავრობასთან დაკავშირებული ბოტებისა და მომხმარებლების მხრიდან, განსაკუთრებით გაძლიერდა 2018 წლის ივნისის საპროტესო გამოსვლებისა და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

- ინტერნეტ გარემოს ზიანს აყენებს [მომხმარებელთა] შევიწროება, რასაც საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ონლაინ დაშინების რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა მოწმობს.

დადებით გარემოებად აღნიშნული იყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლა, რომლის მიხედვითაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებად იქნა აღიარებული.

რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ალგორითმების გამოყენების შესახებ

IDFI-ის წარმომადგენელი მონაწილეობდა ანგარიშისა და რეკომენდაციების შემუშავებაში საჯარო დაწესებულებების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ალგორითმების (ავტომატიზებული გადაწყვეტილებები) გამოყენების შესახებ. კვლევა ჩატარდა ჩეხეთის, საქართველოს, უნგრეთის, პოლონეთის, სერბეთისა და სლოვაკეთის მაგალითზე. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- მონაწილე ექვსი ქვეყნიდან არც ერთში არ არსებობს სახელმწიფოს დონის პოლიტიკა საჯარო დაწესებულებების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ალგორითმების გამოყენების შესახებ;

- არცერთ ქვეყენას არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ალგორითმების გამოყენების ეთიკური ჩარჩო.
- ასევე, არ არსებობს რაიმე საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც დეტალურად აღწერდა ამ კუთხით სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებსა და ვალდებულებებს.
- არ არსებობს გარე და დამოუკიდებელი აუდიტის მექანიზმები, რომლებიც ალგორითმული ოპერაციების სიზუსტესა და სამართლიანობას შეაფასებდა.

შესაბამისად, შემუშავდა და გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები და საჭიროებები:

- *აღგორითმის გამოყენების პოლიტიკის ჩამოყალიბება*
- მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში
- ავტომატიზებული გადაწყვეტილებების შესახებ მკაფიო და კომპლექსური საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეთიკის სახელმძღვანელო შემუშავება
- სამთავრობო ალგორითმების შექმნის მთელ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გარე ექსპერტების ჩართვა
- ალგორითმული ზემოქმედების შეფასების დანერგვა
- გამჭვირვალობის დებულებების შემოღება ალგორითმის შემქმნელ კომპანიებთან დადებულ კონტრაქტებში და ღია წვდომა საწყის კოდთან
- ალგორითმების გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოების შედგენა
- დავების განხილვისა და გადაწყვეტის სისტემის შემუშავება.

IDFI-სთან ერთად, კვლევის მომზადებაში მონაწილეობდნენ ePaństwo Foundation-ის (პოლონეთი), KohoVolit.eu-ის (ჩეხეთი და სლოვაკეთი), K-Monitor-ისა (უნგრეთი) და CRTA-ის (სერბეთი) მკვლევრები.

IDFI-ის მოსაზრებები „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტის რისკებისა და გამოწვევების შესახებ

IDFI გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტში 2019 წლის 2 ოქტომბერს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტს. ინსტიტუტის მოსაზრებით, კანონპროექტით შემოთავაზებულ ვერსიაში კარდინალურად იცვლება არსებული კიბერ-უსაფრთხოების არქიტექტურა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ფაქტობრივად ხდება საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი მაკო-ორდინირებელი და ზედამხედველი უწყება, რომლის უფლებამოსილება გავრცელდება არა მხოლოდ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას მიკუთვნებულ საჯარო დაწესებულებებზე, არამედ კერძო სექტორზეც.

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

2019 წელს, IDFI-სთან თანამშრომლობითა და თანადაფინანსებით, თბილისში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი-განვითარებადი ბაზრების ეკონომიკა: პერსპექტივები და გამოწვევები.

ფორუმში მონაწილეობდა:

15-ზე მეტი ქვეყნის **500-ზე** მეტი დელეგატი.

ფორუმზე IDFI წარსდგა საკუთარი პანელით, რომელზეც განხილულ იქნა **კარგი მმართველობის რეფორმის როლი ეკონომიკურ განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვაში.**

2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, IDFI-ს მიერ შემუშავებული კონცეფციის გათვალისწინებით, შექმნა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ჩართულობის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს გაეცნოს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას
- ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამებს

და დაგეგმოს სახელმწიფო ბიუჯეტი საკუთარი შეხედულებების შესაბამისად.

კვლევითი საქმიანობა

2019 წელს IDFI-მ ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით განახორციელა კვლევითი საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების ანალიზი და ქვეყანაში არსებული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება.

2019 წელს IDFI-მ წარმოადგინა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივას საქართველოში. მასში შეფასდა საქართველოს შესაძლებლობები და პერსპექტივები მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industries Transparency Initiative - EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთების კუთხით. ასევე, დოკუმენტში აღწერილია EITI-ის სტანდარტი, მისი მუშაობის წესი და ის სარგებელი, რაც მასთან მიერთებამ შეიძლება მოგვიტანოს.

- 2019 წელს IDFI-ს მიერ სოციალურ ეკონომიკური მიმართულებით შექმნილმა ანალიტიკურმა მასალებმა, ასევე, მოიცვა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების შედეგები და სხვა.
- IDFI წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობდა რეკომენდაციებს მრავალ-შვილიანი ოჯახების დახმარების არსებული პოლიტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით.
- 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე, რომელიც გარკვეულ შეღავათებს უწესებს მრავალშვილიან ოჯახებს.

საბჭოთა კვლევები

საერთაშორისო კონფერენცია

2019 წლის დეკემბერში, პროექტის „სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობა ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“ ფარგლებში, IDFI-მ გამართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია არქივების ღიაობასა და მეხსიერების კვლევებზე. კონფერენციაზე 20-ზე მეტი ქვეყნიდან მოწვეული იყვნენ მკვლევრები, ისტორიკოსები, არქივისტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებმაც ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე არქივების ღიაობის ხელშეწყობის კუთხით და, ასევე, მეხსიერების პოლიტიკაზე სხვადასხვა ქვეყანაში. კონფერენციაში მონაწილეებმა განიხილეს არქივების ღიაობისა და მეხსიერების პოლიტიკის შეფასების მოდელები, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და საუკეთესო საერთაშორიო პრაქტიკები. მათ საკუთარი მოხსენების თეზისები წარუდგინეს IDFI-ს, რომელიც კრებულის სახით 2020 წელს გამოიცემა.

არქივების ღიაობის საერთაშორისო რეიტინგი

2019 წელს, არქივების, საბჭოთა და მეხსიერების კვლევების მიმართულებით, IDFI-ის მიზნები ემსახურებოდა სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობას, საარქივო დოკუმენტებზე დაფუძნებული საბჭოთა წარსულის კვლევების წახალისებასა და მეხსიერების კვლევების ხელშეწყობას საქართველოსა და პოსტ-კომუნისტურ სივრცეში.



2019 წლის მაისიდან, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ განაგრძო პროექტი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო არქივების ღიაობის რეიტინგის შექმნას. 2017-2018 წლებში განხორციელებული, საპილოტე პროექტი მოიცავდა მხოლოდ 10 პოსტ საბჭოთა ქვეყანას, 2019 წლიდან კი პროექტში შემავალი ქვეყნების რიცხვი 18-მდე გაიზარდა და მოიცვა არა მარტო პოსტ საბჭოთა, არამედ ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებიც.

პირველ ეტაპზე შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, IDFI-მ შექმნა არქივების ღიაობის შესაფასებელი ელექტრონული ბაზა, რომელშიც პარტნიორ მკვლევარებს სხვადასხვა ქვეყნიდან შეჰყავთ მონაცემები, რომელთა დამუშავების საფუძველზეც, საბოლოოდ განახლდება არქივების ღიაობის საერთაშორისო რეიტინგი.

არქივების ღიაობის ადვოკატირება

IDFI 2019 წელს განაგრძობდა არქივების ღიაობის ადვოკატირებას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლოში. ივლისში თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი საქართველოს ეროვნული არქივის წინააღმდეგ. IDFI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წამოიწყო დავა, რათა ეროვნული აქრივისგან მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ პირს და რა მიზეზით ეთქვა უარი საარქივო ფონდებზე დაშვებაზე. ეროვნული არქივი აცხადებდა, რომ ის ვერ გასცემდა ამგვარ ინფორმაციას, რადგან არ ახდენდა შესაბამის აღრიცხვას. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი სრულად დაკმაყოფილდა IDFI-ის სარჩელი და ეროვნულ არქივს დაევალა შესაბამისი სტატისტიკის წარმოება და ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა. ამასთანავე, 2019 წელს IDFI-მ საქართველოს პარტლამენტში შეიტანა საკანონმდებლო წინანადება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. საკანონმდებლო წინადადებები ითვალისწინებდა შემდეგ ცვლილებებს:

- ეროვნულ საარქივო ფონდში დაცულ სახელმწიფო საიდუმლოების, პერსონალურ მონაცემთა შემცველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა სამეცნიერო-კვლევით მიზნებისთვის;

- ეროვნულ საარქივო ფონდებზე დაშვების შესახებ განცხადებათა განხილვის ვადებისა და განცხადებათა აღრიცხვის ვალდებულების კანონის დონეზე დარეგულირება;

- სამკითხველო დარბაზში დოკუმენტების ფოტოგადაღების დაშვება;

- დაზიანებული და დაკარგული საქმეების სიის საჯაროობა.

აგვისტოში, პარლამენტმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილა აღნიშნული წინადადებები. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტმა IDFI-ის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა, პარლამენტის წევრებმა გამოხატეს მზაობა, რომ გაგრძელდეს მუშაობა ამ საკითხზე. შესაბამისად, IDFI მუშაობს საკანონმდებლო წინადადების განახლებულ ვერსიაზე, რომელსაც უმოკლეს ვადებში კვლავ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

მეხსიერების კვლევები

IDFI-ის გუნდმა უკვე გამოაქვეყნა არა ერთი კვლევითი სტატია საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით. IDFI მუშაობს მეხსიერების პოლიტიკის შეფასების უნივერსალური მოდელის შექმნაზე, რის საფუძველზეც, არქივების ღიაობის მსგავსად, IDFI-ის პარტნიორები შეაფასებენ მეხსიერების პოლიტიკას სხვადასხვა ქვეყანაში და შეიქმნება საერთო ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და გამოწვევები.

რეპრესიებულთა სამარხები

2019 წლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მასობრივი სამარხის აღმოჩენა ხელვაჩაურში. აღნიშნულ ადგილზე 150 ადამიანის ნეშტი იქნა ნაპოვნი. ნაპოვნი ცხედრების იდენტიფიკაციის მიზნით, IDFI თავიდანვე ჩაერთო შესაბამისი საარქივო დოკუმენტების მოძიებაში. ორგანიზაციის მიერ არქივებში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 1937-1938 წლებში, სხვადასხვა სადა-



მსჯელო ოპერაციის შედეგად, აჭარაში სულ 1050 ადამიანი დახვრიტეს, რაც რამდენიმე ასეულით აღემატებოდა მანამდე გავრცელებულ რაოდენობას. IDFI-მ აღნიშნული სია გადასცა ბათუმის და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენლებს. ამის შემდგომ, IDFI აქტიურად ადვოკატირებს როგორც ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე, რომ ამ საკითხის კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს. დღემდე IDFI-მ გასცა არა ერთი რეკომენდაცია ხელისუფლების მისამართით, რათა გააქტიურდეს მუშაობა ამ მიმართულებით და გატარებული ღონისძიებები იყოს უფრო ეფექტური.

მემორიალები

IDFI 2019 წელსაც აქტიურად მუშაობდა ახალი მემორიალებისა და მეხსიერების ადგილების შექმნაზე. ორგანიზაციის ინიციატივით, კასპში გაიხსნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრების - გრიგოლ და ლეო ნათაძეების, ნიკოლოზ კაციაშვილის და რევაზ გაბაშვილის მემორიალური დაფები. ასევე, თბილისში განთავსდა რუსეთის იმპერიის გარდამავალი ეპოქის და საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოჩენილი პოლიტიკოსის, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, კონსტანტინე გვარჯალაძის მემორია-ლური დაფები.

პუბლიკაციები

IDFI-მ გამოსცა კარლო ჩხეიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მემორიალური ალბომი. ალბომში შესულია აქამდე გამოუქვეყნებელი საარქივო და ფოტო მასალა, ასევე ვრცელი ანოტაციები და კარლო ჩხეიძის ბიოგრაფიული და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი დეტალები.

ანალიტიკური საქმიანობა

არა ერთი სტატია გამოქვეყნდა IDFI-ის ვებ-გვერდზე, damoukidebloba.ge. აღნიშნული ვებ-გვერდი ემსახურება უმეტესწილად რუსეთისგან მართული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას სხვადასხვა სახის ანალიტიკური და პოპულარული სტატიების გამოქვეყნების გზით. ამ ეტაპისთვის, ვებ-გვერდზე განთავსებულია 500-ზე მეტი სტატია.

კანონის უზენაესობა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა

2019 წლის იანვარში, IDFI-მ პარტნიორ ორგანიზაცია „საიასთან“ ერთად მოამზადა რეკომენდაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებთან და პროცედურასთან დაკავშირებით, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის სახელით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფს წარედგინა. შემუშავებული რეკომენდაცია ეყრდნობოდა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- *დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა;*
- *არჩევის პროცესის გამჭვირვალობა და ღიაობა;*
- *პროცესის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვა.*

IDFI აქტიურად იყო ჩართული ამ რეკომენდაციების ადვოკატირების პროცესში, კერძოდ, კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში, ასევე ვენეციის კომისიისა და ევროს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისისათვის გაგზავნილი მიმართვის შემუშავების პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა ვენეციის კომისიისა და ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მომზადებულ დასკვნებში. საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკული დასკვნების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ კანონპროექტში რამდენიმე დადებითი ცვლილება შევიდა, თუმცა, მოქმედ კანონმდებლობაში ამ კუთხით ცალკეული ხარვეზები კვლავ არსებობს.

IDFI, ასევე, აქტიურად ადევნებდა თვალს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს და 2019 წლის აგვისტოში, გამოაქვეყნა შეფასება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის მიმდინარეობისას გამოვლენილი ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების შესახებ.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა

2019 წლის აპრილში, IDFI-მ, პარტნიორ ორგანიზაცია ISFED-თან ერთად, გამართა კვლევის პრეზენტაცია საქართველოში მოსამართლეთა პროფესიული მომზადების სისტემის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პირველ ყოვლისმომცველ კვლევას იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციურ მოწყობასა და საქმიანობასთან დაკავშირებით. კვლევა მიმოიხილავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციურ მოწყობასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს. მასში განხილულია როგორც იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის უფლებამოსილებების განაწილების საკითხი, ასევე გამოკვეთილია სხვა რიგი პრობლემები, რაც სკოლის საქმიანობის კუთხით არსებობს, მათ შორის, იუსტიციის მსმენელთა მომზადებასთან, მოსამართლეთა გადამზადებასთან და სკოლის პროგრამებთან დაკავშირებით. კვლევა მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს არსებული ხარვეზებისა და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების შესახებ.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმა

2019 წლის მარტსა და ნოემბერში IDFI-მ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მონიტორინგის ანგარიშები გამოაქვეყნა, რომლებიც რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების შემდგომ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსა და პრაქტიკას აფასებს, ასევე მოიცავს რეკომენდაციებს დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე. რიგით მეორე ანგარიში, რომლის პრეზენტაციაც 2019 წლის 8 ნოემბერს გაიმართა, დამატებით, ასევე, მოიცავდა რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტის შეფასებას.

კვლევა სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესახებ

2019 წლის მაისში, IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის/დარღვევის თაობაზე (2015-2018 წლების პრაქტიკის მიმოხილვა) და გამოავლინა როგორც მოსამართლეთა შეფასების წესთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე საქმეთა გაჭიანურების კუთხით არსებული გამოწვევები.

გამოხატვის თავისუფლება

2019 წელს IDFI აქტიურად აგრძელებდა მუშაობას გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაისში, IDFI-მ შეაფასა ბოლო წლებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართული ინიციატივები და გამოავლინა ამ კუთხით ქვეყანაში არსებული საფრთხეები.

გარდა ამისა, 2019 წლის აგვისტოში, IDFI-მ მოამზადა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის შეფასება და წარადგინა რეკომენდაციები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც უარყოფითად აისახებოდა გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. კანონპროექტის ინიციატორებმა რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი გაითვალისწინეს, რის შედეგადაც გარკვეულწილად შემცირდა ის საფრთხეები, რაც შემუშავებული კანონპროექტით გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას ემუქრებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, IDFI-მ, ასევე, გამართა საჯარო დისკუსია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან ერთად. ამ ეტაპზე, კანონპროექტი დამტკიცებული არ არის.

IDFI-მ, ასევე, გამოაქვეყნა დაუშვებელი პროდუქციის რეგულირებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების მიმოხილვა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების სტანდარტის გაუმჯობესების კუთხით.

პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა

IDFI-სთვის პრიორიტეტად რჩება პროკურატურის დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობა. 2019 წლის 4 თებერვალს ორგანიზაციამ მოამზადა და გამოაქვეყნა 2018 წლის პროკურატურის სისტემის რეფორმის ანალიზი, რომელიც მოიცავდა რეკომენდაციებს რეფორმის შემდგომ დარჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

2019 წელს IDFI ჩაერთო საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებების გამიჯვნის რეფორმაზე მუშაობაში და, ვენეციის კომისიის დასკვნის საფუძველზე, მოამზადა თავისი რეკომენდაციები აღნიშნული რეფორმის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ინდივიდუალური პროკურორების გაძლიერებისა და მათი კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წლის

განმავლობაში IDFI-მ ჩაატარა ორი ტრენინგი გენდერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროკურორებმა როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

IDFI-მ ერთი წლის განმავლობაში განახორციელა საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში მან შეაფასა უწყების მიერ თავისივე სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების

მდგომარეობა 2017-2018 წლებში. მონიტორინგის შედეგები, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები საჯაროდ წარდგენილი და განხილული იქნა 2019 წლის 29 ოქტომბერს პროკურატურის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად.



პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, IDFI-მ განახორციელა საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, სადაც საუბარია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებულ ხარვეზებსა და მათი გადაჭრის გზებზე, რომელიც საზოგადოებას 2019 წლის 4 დეკემბერს წარედგინა.

პროკურატურის რეფორმაზე და ზოგადად პროკურატურის სისტემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, IDFI-მ 2019 წლის 22 ივლისს გამოაქვეყნაინფორმაციაგენერალურ პროკურატურაზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობის შესახებ, 29 ივლისს კი გამოაქვეყნა ინფორმაცია გენერალური პროკურატურის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოების შესახებ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულების გარკვევის მიზნით, 2019 წლის განმავლობაში IDFI-მ რამდენიმე გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომლებიც გახმაურებულ საქმეებზე პროკურატურის საქმიანობის შეფასებას და ზოგადად პროკურატურის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების განსაზღვრას ახდენდა:

გამოკითხვის შედეგი 1. *მოსახლეობას განსხვავებული დამო-კიდებულება აქვს ჰოკუჰატუჰის მიმართ;*

გამოკითხვის შედეგი 2. *დამოკიდებულება ჰოკუჰოჰებისა და მოსამართლეების ქმედებების მიმართ;*

გამოკითხვის შედეგი 3. *ჰოკუჰატუჰის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრი გაყოფილია;*

გამოკითხვის შედეგი 4. *გამოკითხვის ექსპერიმენტი - ჰა შემთხვევებში ენდობა ან აჰ ენდობა საქაჰთველოს მოსახლეობა ჰოკუჰატუჰას.*

IDFI ხელს უწყობს სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდას საქართველოში

საქართველოში სასამართლო გადაწვეტილებათა ხელმისაწვდომების ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა 2015 წლის ოქტომბრიდან. თუკი მანამდე სასამართლოები სრულყოფილი სახით გასცემდნენ გადაწყვტილებათა ასლებს, შემდგომ პერიოდში დამკვიდრდა გადაწყვეტილებათა გაცემაზე პერსონალური მონაცემების დაცვის

არგუმენტაციაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა. საერთო სასამართლოები ფართოდ განმარტავდნენ პერსონალური მონაცემის ცნებას და დეპერსონალიზაციის შეუძლებლობას, ისინი არ ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ საქმის მიმართ არსებულ განსაკუთრებით მაღალ საჯარო ინტერესს. დარღვეული იყო ბალანსი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის, რადგან უპირობო უპირატესობა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ენიჭებოდა.

IDFI მიიჩნევდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. შესაბამისად, სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. 2019 წლის 7 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა IDFI-ის საკონსტიტუციო სარჩელი მოცემულ საკითხზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ტიპის ინფორმაციას, რომელზე ხელმისაწვდომობის **მიმართაც თავისთავად არსებობს მომატებული საზოგადოებრივი ინტერესი**. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის, მისდამი საზოგადოების ნდობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციური ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ **საგამონაკლისო შემთხვევებში, გადაწყვტილებაში ასახული ინფორმაციის სენსიტიურობის გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად, შესაძლოა, საჭირო გახდეს პირის პერსონალური მონაცემების დაფარვა, თუმცა, ამას არ უნდა ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი.** სასამართლოს აქტის ღიაობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს რა გავლენას ახდენს პერსონალური მონაცემების გამჟღავნება პირადი ცხოვრების უფლებაზე და გადაწონის თუ არა იგი სასამართლო აქტის ხელმისაწვდომობაზე საზოგადოების მომეტებულ ინტერესს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის პირველი მაისიდან და საქართველოს პარლამენტს მისცა ვადა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად.

სახელმწიფო შესყიდვები

2019 წელს IDFI-მ გააფართოვა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების რეიტინგის ფარგლები და, გარდა ევრაზიის რეგიონისა, მოიცვა, ასევე, აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ოკეანეთისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. მოცემული დროისთვის რეიტინგი ფარავს 36 ქვეყანას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის რეგიონებიდან.



გარდა გლობალური რეიტინგისა www.tpp-rating.org წარმოადგენს პლატფორმას წევრ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მიმდინარე მოვლენებისა და არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის განთავსებისა და გავრცელებისთვის, რაც თავის მხრივ



ხელს უწყობს ადგილობრივ ორგანიზაციებს საკუთარი რეკომენდაციების ადვოკატირების პროცესში.

გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგის გაფართოებასთან ერთად, გამოიკვეთა შეფასების პროცესის ტექნიკური გამარტივების აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, IDFI-მ შეუმუშავა ონლაინ შეფასების პლატფორმა. რეიტინგში შემავალ ყველა ქვეყნის წარმომადგენელ ორგანიზაციას საშუალება აქვს საკუთარი მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით ონლაინ რეჟიმში შეაფასოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გამჭვირვალობა, რის შემდეგაც სისტემა ავტომატურ რეჟიმში ახდენს საერთო რეიტინგის გენერირებას და მისი კომპონენტების სტატისტიკური მონაცემების ანალიზს.

გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების ადვოკატირების მიზნით IDFI-მ ვიზიტები განახორციელა ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ყირგიზეთში, ყაზახეთში, სომხეთში, ლატვიაში, ალბანეთში, რუმინეთში და სხვ

2019 წლის განმავლობაში, IDFI-სა და პარტნიორი ორგანიზაციების საერთო ადვოკატირების შედეგად, ხელი შეეწყო სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას ყაზახეთში, კოსტა-რიკაში, უკრაინასა და სომხეთში. საქართველოში კი დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის OCDS სტანდარტით გამოქვეყნების პრაქტიკა და გაეშვა ვიზუალიზაციების ვებგვერდი.

.

სასწავლო პროგრამა

IDFI-მ უმასპინძლა ინდოეთის ფედერალური რესპუბლიკის საჯარო უწყებების დეპარტამენტების ხელმძღვანელებსა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების მაღალი თანამდებობის პირებს სასწავლო ვიზიტის ფარგლებში - გამოცდილების გაზიარება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ღონისძიება გაიმართა

ვაშინგტონში ბაზირებული საერთაშორისო ორგანიზაციის Partnership for Trasparency Fund (PTF) ინდოეთის ფილიალთან (PTF India) და გურგაონის მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით (MDI Gurgaon). სასწავლო შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა საქართველოს საჯარო შესყიდვების სისტემაში არსებული კარგი პრაქტიკისა და ნაკლოვანებების გამოცდილების გაზიარებაზე, საქართველოს ანტიკორუფციული სისტემასა და პოლიტიკაზე, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების სფეროშიც. ვიზიტები შედგა იუსტიციის სახლში და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

IDFI-მ უმასპინძლა დელეგაციას შრი-ლანკიდან. შეხვედრებზე მხარეებმა გამიხილეს სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის სტანდარტები და ქვეყნებში არსებული გამოწვევები. სახელმწიფო შესყიდვების თემაზე IDFI-იმ არაერთი ტრენინგი ჩაატარა ჟურნალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც საქართველოში ისე მის მიღმა.

საჯარო-კერძო პარტნიორობა

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება და ხელშეწყობა

2019 წლის 10 ივლისს, IDFI-მ გამოაქვეყნა საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების 2014-2019 წლების შემაჯამებელი ანგარიში. სულ შეფასდა 37 კანონპროექტი და შეფასების მიზნებისთვის ჩაატარდა 200-მდე ინტერვიუ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. IDFI-მ დააჯილდოვა ის კანონპროექტები, რომელთა მომზადების პროცესშიც ყველაზე მაღალი ხარისხით იყო უზრუნველყოფილი კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგი - საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი, ე.წ. ესტორნურ მოდელთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები და საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

დიალოგის ხელშეწყობა რეგიონებში

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის მნიშვნელობის საკითხზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2019 წელს IDFI-მ შეხვედრები ჩაატარა თელავის, რუსთავისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში. IDFI-მ შეისწავლა გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა მოცემულ რეგიონებში და, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გასცა შესაბამისი რეკომენდაციები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაგეგმეს სამომავლო ღონისძიებები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. ადგილობრივმა მოსახლეობამ კი მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მათ იმისათვის, რომ მათი მოსაზრებები აისახოს მუნიციპალური საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში.

დიალოგის ხელშეწყობა ცენტრალურ ხელისუფლებაში

2019 წელს IDFI-მ ხელი შეუწყო კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გამართვას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტზე. მოცემული კანონპროექტი არეგულირებდა შესაბამის ქმედებათა განხორციელებას იმ მიტოვებულ შენობა-ნაგებობებთან მიმართებით, რომლებიც ამახინჯებდნენ დასახლებულ პუნქტთა იერსახეს და წარმოადგენდნენ საფრთხეს საზოგადოებისთვის. დისკუსია გაიმართა 2019 წლის 12 აპრილს. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამი-ნისტროსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ისევე, როგორც პარლამენტის წევრებმა.

საპარლამენტო თემატური მოკვლევა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ

2019 წელს IDFI-მ ექსპერტული დახმარება გაუწია ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჩატარებაში თემაზე - სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტები და პრაქტიკები. IDFI-ის მიერ მომზადებული და სამუშაო ჯგუფის მიერ დამტკიცებული თემატური მოკვლევის ანგარიში მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ დაწესებულებებში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესწავლის პროცესში გამოვლენილ ძირითად მიგნებებსა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაზე მონიტორინგს საქართველოს პარლამენტი განახორციელებს.

ტრენინგები და ლექციები

IDFI-ის ტრენინგები ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ

2019 წელს, IDFI-ის წარმომადგენლებმა ჩაატარეს პრაქტიკული ტრენინგები ჟურნალისტებისთვის, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგნელებისთვის, სტუდენტებისა და აქტივისტებისთვის თბილისში, ყვარელში, ქუთაისში, ბორჯომსა და ბათუმში ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდების, მათ შორის, საჯარო მონაცემებთან მუშაობის შესახებ. საერთო ჯამში, ტრენინგებს ესწრებოდა 200-მდე ადამიანი. შეხვედრების დროს IDFI-ის წარმომადგნელებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- როგორ აღმოვაჩინოთ და გადავამოწმოთ საეჭვო გარიგებები სახელმწიფო შესყიდვებში;

- როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი განკარგვა;

- როგორ მოვიპოვოთ საჯარო მონაცემები ხელისუფლების საქმიანობის შესახებ; და

- როგორ გამოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია.

მონაწილეებმა, ასევე, მიიღეს პრაქტიკული რჩევები ვიზუალიზაციების მომზადების შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ საზოგადოებასთან მონაცემების ეფექტურ კომუნიკაციაში.

კონსულტაციები

სამოქალაქო კონტროლის ცხელი ხაზი

2019 წელს IDFI-მ ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგში მოქალაქეების ჩასართავად შექმნა სამოქალაქო კონტროლის ცხელი ხაზი. მისი მეშვეობით, ნებისმიერ მოქალაქეს (მათ შორის აქტივისტს, ჟურნალისტს, ბიზნესის წარმომადგენელს და ა.შ.) შეუძლია მოგვაწოდოს (მათ შორის, ანონიმურად) ინფორმაცია *საჯარო სექტორში შესაძლო გადაცდომების, საჯარო ფინანსების არასწორი და უკანონო განკარგვის, სავარაუდო კორუფციული დანაშაულის ფაქტების, საჯარო მოხელეთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის, საჯარო ინფორმაციის შეზღუდვის შემთხვევების, ნეპოტიზმის და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების, ასევე, საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედების შესახებ.*

მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, IDFI ამოწმებს და საჭიროების შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით, შეისწავლის საკითხს, აანალიზებს მოგროვილ მონაცემებს და დარღვევების დადასტურების შემთხვევაში, საჯაროს ხდის შემთხვევას ან რეაგირებისთვის მიმართავს სხვადასხვა ორგანოებს.

წლის მანძილზე, IDFI-მ ცხელი ხაზის დახმარებით ათობით მსგავსი ინფორმაცია მიიღო და შეისწავლა



საჯარო მოხელეების სატელეფონო კონსულტაცია

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით
- ტრენინგები და სხვა



საჯარო მოხელეებთან წერილობითი კონსულტაცია

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით
- სხვა



მოქალაქეებთან სატელეფონო კონსულტაცია

- საქართველოს არქივებში დაცულ დოკუმენტებთან და რეპრესირებულ წინაპრებთან დაკავშირებით
- სოციალური საკითხებთან დაკავშირებით
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით
- სხვა



მოქალაქეებთან წერილობითი (მათ შორის სოციალური ქსელის საშუალებით) კონსულტაცია

- საქართველოს არქივებში დაცულ დოკუმენტებთან, არქივებში დაშვების პროცედურებთან და რეპრესირებულ წინაპრებთან დაკავშირებით
- სიღრმისეული სამართლებრივი კონსულტაცია/დოკუმენტების მომზადება/მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა
- სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით
- IDFI-ს მიერ გამოქვეყნებულ კვლევებთან დაკავშირებით და სხვა



ოფისში ვიზიტი

- არქივებში დაცულ დოკუმენტებთან და რეპრესირებულ წინაპრებთან დაკავშირებით
- სხვა

2019 წელს, IDFI-მ, ჯამში სხვადასხვა სახის 327 კონსულტაცია გასწია

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები

2019 წელს დაწყებული პროექტები

ღია მმართველობის პრინციპების ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში

დონორი ორგანიზაცია: *ევროკავშირის მიერ საქართველოს პარლამენტთან და აჭარის უმაღლეს საბჭოსთან თანამონაწილეობით*

პროექტის ფარგლებში, UNDP-ი თანამშრომლობს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI), რათა განახორციელოს ღია მმართველობის პრინციპების დანერგვა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, ინსტიტუციების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით, მათ შორის, მოქალაქეების მეტი ჩართულობით.

PAR-ის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით

დონორი ორგანიზაცია: *ევროკავშირი (EU)*

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებას, PAR-ის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და გადახედვის პროცესში ინოვაციების, შესაძლებლობების გაძლიერების, დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით.

კვლევითი პროექტი საჯარო სამსახურის კარიერულ განვითარებაში გენდერულად განპირობებული პოტენციური განსხვავებების შესახებ

დონორი ორგანიზაცია: *გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში*

პროექტის მიზანია დაადგინოს ის მნიშვნელოვანი გავლენები, რასაც გენდერი შეიძლება ახდენდეს საჯარო სამსახურში კარიერის განვითარებაზე და რამდენად მნიშვნელოვნად აღიქმება ეს განსხვავებები თავად ინდივიდუალური საჯარო მოხელეებისა და ზოგადად, საჯარო სამსახურის მიერ.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობა

დონორი ორგანიზაცია: *ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდი (OSI)*

პროექტის მთავარი მიზნებია საბჭოთა და ტოტალიტარული წარსულის გააზრება სამეცნიერო კვლევების წახალისებითა და პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობით.

კორუფციასთან მებრძოლთა საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება

დონორი ორგანიზაცია: *ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდი (OSI), ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) თანადაფინანსებით*

პროექტის მიზანია, შექმნას პროფესიონალთა და აქტივისტთა საზოგადოება, რომელიც აქტიურად ჩაერთვება კორუფციის პრევენციაში, კორუფციის რისკების მართვაში და სისტემური კორუფციის შემთხვევების გამოვლენაში.

საერთაშორისო ანტიკორუფციული პლატფორმების გავლენის შესწავლა საქართველოსა და ევრაზიის რეგიონში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო შესყიდვების წახალისებაში

დონორი ორგანიზაცია: *ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდი (OSI)*

პროექტის მიზანია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში საქართველოს მიღწევების შენარჩუნება კორუფციის მზარდ პრობლემასთან შეჭიდებით. განსაკუთრებული აქცენტით სახელმწიფო შესყიდვების სისტემაზე.

კარგი მმართველობის გაძლიერება საქართველოში (3G)

დონორი ორგანიზაცია: *LUMINATE, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია*

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში საჯარო დაწესებულებებზე სამოქალაქო ზედამხედველობის გაზრდას, და ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - 2018

დონორი ორგანიზაცია: *USAID / EWMI - ACCESS*

პროექტის მიზანია საქართველოს საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის ანალიზი და IDFI-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ყველაზე ღია და დახურული უწყებების გამოვლენა.

სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის

დონორი ორგანიზაცია: *ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი*

პროექტი მიზნად ისახავს, გააძლიეროს საქართველოში მოქმედი სადამკვირვებლო ჯგუფები და ზოგადად საზოგადოება, რათა მათ უფრო ეფექტურად შეძლონ ხელისუფლებაზე დაკვირვება და მისი გაკონტროლება.

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დახმარება თემატური მოკვლევის ჩატარებაში თემაზე - სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტები და პრაქტიკები

დონორი ორგანიზაცია: *გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)*

პროექტის მთავარი მიზანია თემატური მოკვლევის ჩატარების პროცესის ხელშეწყობა.

ღია მონაცემების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება ქუთაისის და ახალციხის მერიებისთის (2019-2020)

დონორი ორგანიზაცია: *USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში, TETRA TECH ARD*

პროექტის მიზანია ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიოს ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიებს ღია მონაცემების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2019-2020), ასევე, მონიტორინგის მექანიზმების შექმნაში, რაც გააუმჯობესებს მონაცემთა მართვას და დაამკვიდრებს მონაცემების გასაჯაროების საუკეთესო პრაქტიკას, რაც სხვადასხვა ტიპის მთავარი პოლიტიკის დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვანი ელემენტია.

სამხრეთ კავკასიაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული კორუფციასთან რძოლის სტრატეგიების კვლევის მხარდაჭერა

დონორი: *BERTELSMANN STIFTUNG*

პროექტის მიზანია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტიმა (IDFI) ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში კორუფციასთან ბრძოლის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიების კვლევას, რომელიც მომზადდება სამ ქვეყანაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

გამოცდილების გაზიარება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დონორი ორგანიზაცია: *PARTNERS FOR TRANSPARENCY FOUNDATION*

პროექტის მიზანია სასწავლო პროგრამაში მონაწილე ინდოეთის ფედერალური რესპუბლიკის საჯარო უწყებების დეპარტამენტების ხელმძღვანელებსა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების მაღალი თანამდებობის პირებისთვისთვის საქართველოს საჯარო შესყიდვების სისტემაში არსებული კარგი პრაქტიკისა და ნაკლოვანებების შესახებ გამოცდილების გაზიარება.

პროექტების შესახებ მეტ ინფორმაციას გაეცანით ჩვენს ვებგვერდზე: *WWW.IDFI.GE/GE/PROJECTS*

2019 წლის ფინანსური ანგარიში

	აშშ დოლარი	ქართული ლარი
სულ ფულის შემოსავალი	$ 956,779.04	2,743,755.24 ₾
სულ ფულის გასავალი	$ (799,671.67)	-2,293,218.45 ₾
გაცვლითი კურსის გავლენა ფულზე	$ 4,447.22	12,753.28 ₾
ფულის ზრდა/კლება საანგარიშო პერიოდში	$ 157,107.36	450,536.79 ₾

ფული პერიოდის დასაწყისში	$218,866.72	627,644.10 ₾
ფული პერიოდის ბოლოს	$380,421.30	1,090,934.17 ₾

ფულის მოძრაობა

ფულის შემოსავალი



ფულის მოძრაობა

ფულის გასავალი



IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ვ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, საქართველო
+995 32 292 15 14
INFO@IDFI.GE
WWW.IDFI.GE

შვედეთი
Sverige

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.